



**თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 29**

**2014 წლის 03 სექტემბერი**

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში  
განსახორციელებელი 2014 წლის სოციალური  
პროგრამების დამტკიცების  
შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მეოთხე ნაწილის და ამავე ორგანული კანონის მე-19-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში 2014 წელს განსახორციელებელი შემდეგი სოციალური პროგრამები.

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა განისაზღვროს 12.5 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად;
2. ოჯახებში III, IV ან მეტი ბავშვის დაბადებისას დახმარების პროგრამა განისაზღვროს 6.7 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად;
3. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა განისაზღვროს 21.0 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №3-ის შესაბამისად;
4. სამაჩაბლო - აფხაზეთში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა შვილების დახმარების პროგრამა განისაზღვროს 4.5 ათ.ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №4-ის შესაბამისად;
5. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების

უზრუნველყოფის პროგრამა განისაზღვროს 3.5 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №5-ის შესაბამისად;

6. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების პროგრამა განისაზღვროს 2.9 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №6-ის შესაბამისად;

7. ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა განისაზღვროს 28073 ათასი ლარით და ჩამოყალიბდეს დანართი №7-ის შესაბამისად;

8. ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა განისაზღვროს 5.5 ათ. ლარით დანართი №8-ის შესაბამისად;

9. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

10. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლინად ერთი თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქ. N41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა**

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.  
01 იანვარი 2015 წ.
2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 12.5 ათ.ლარი  
საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 12.5 ათ.ლარი
3. პროგრამის დაფინანსების წყაროები  
ძირითადი: თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
4. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ყველასათვის ცნობილია თუ რაოდენ მძიმე პერიოდი გაიარა საქართველომ ამ ბოლო წლების განმავლობაში, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, ეს კი თავისთავად აისახა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. გარკვეულწილად ამ სერიოზული ეროვნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სოციალურ სფეროში გატარდეს რიგი ღონისძიებები. სწორედ ამიტომ, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობს „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა“, რომლის თანახმადაც ყოველ ოჯახში, სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დასახელებული პროგრამა ამუშავდეს 2014 წლის 11 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2015 წლის 1 იანვრამდე, რომლის საფუძველზეც თითოეულ ასეთ ოჯახზე გაიცემა თანხა 50 ლარის ოდენობით.

**5. პროგრამის მიზანი**

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალშობილთა ოჯახებზე, სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა, არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**6. პროგრამის ამოცანები**

- ა. თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ოჯახის ექიმების მიერ ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა მონაცემების მიღება და მის საფუძველზე ბენეფიციართა სიების დადგენა.
- ბ. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

**7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია:**

თელავის მუნიციპალიტეტში დაბადებულ ყველა ახალშობილის ოჯახს, სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება ერთჯერადი დახმარების სახით გამოეყოფა 50 ლარი. ასეთი ოჯახის რაოდენობა სავარაუდოდ წლის განმავლობაში 2014 წლის ბოლო ხუთი თვის განმავლობაში იქნება 250.

**8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით**

ა. პროგრამის ბენეფიციართა დადგენა. რომელიც დგინდება თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებიდან ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა სიის მიხედვით. სიას თანდართული უნდა ჰქონდეს ახალშობილის დაბადების და მამის პირადობის მოწმობის ქსეროასლები (ბავშვის მამის რეგისტრაციის ადგილი აუცილებელია იყოს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი). თუ ბავშვის დედა არის მარტოხელა დედის სტატუსის მატარებელი, ასეთ შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნას დედის პირადობის მოწმობის ქსეროასლი (ასევე აუცილებელია დედის რეგისტრაციის ადგილი იყოს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი).

ბ. ფულადი დახმარების გაცემა მოხდეს ბავშვის დაბადებიდან არაუმეტეს 6 თვის მანძილზე.

გ. ერთჯერადი დახმარების მიღება მოხდება მას შემდეგ, რაც საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახური თანხას გადარიცხავს ბანკში ერთ-ერთი მშობლის მიერ გახნილ პირად ანგარიშზე.

დ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

**9. პროგრამის ბიუჯეტი:**

ა) შემოსავლის წყარო საანგარიშო წელს: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12.5 ლარი.

ბ) პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

№	გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება	ერთეულის დასახელება (ბენეფიციარი)	დასახმარებელი თანხის ოდენობა (ლარი)	ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯები (ათ.ლარი)
1	ერთჯერადი ფულადი დახმარება	250	50	12.5
	სულ ხარჯი			12.5

წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**ოჯახებში III, IV ან მეტი ბავშვის დაბადებისას  
დახმარების პროგრამა**

**1.** პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.  
01 იანვარი 2015 წ.

**2.** პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 6.7 ათ. ლარი  
მ.შ. საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 6.7 ათ.ლარი

**3.** პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი: 6.7 ათ.ლარი

**4.** საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოში გასულ წლებში შექმნილმა მოსახლეობის მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა დიდი დალი დაასვა მოსახლეობის დემოგრაფიას. არსებული გარდამავალი პერიოდის შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა უამრავი პრობლემის წინაშე, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს გენოფონდზე. მაქსიმალურად შემცირდა მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია ისეთი პროგრამების მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების და მათი ოჯახების კეთილდღეობას.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას სადაც III, IV ან მეტი ბავშვი დაიბადება. მესამე ბავშვის დაბადებისას ოჯახი ბანკის მეშვეობით მიიღებს პროგრამიდან 150 ლარს ერთჯერადი დახმარების სახით, ხოლო ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადებისას დაემატება 50 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა 2014 წელს გაგრძელებს მოქმედი „ოჯახებში III, IV ან მეტი ბავშვის დაბადებისას ფულადი დახმარების პროგრამა“.

**5.** პროგრამის მიზანი

მოსახლეობის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ახალშობილთა ოჯახების წახალისების და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ოჯახში III, IV ან მეტი ბავშვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა, ქვეყნის წინსვლისთვის ერთერთი მთავარი მიზანი შობადობის გაზრდის ხელშეწყობაა.

**6.** პროგრამის ამოცანები

ა. ბენეფიციართა დადგენა, თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებიდან ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა სიების მიხედვით ბენეფიციართა დადგენა.

ბ. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

**7. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:**

ა. სავარაუდოდ, პროგრამით ისარგებლებს 73 ახალშობილის ოჯახი, სადაც III, IV ან მომდევნო ბავშვი დაიბადება.

**8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით**

.პროგრამის ბენეფიციართა დადგენა. რომელიც დგინდება თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებიდან ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა სიის მიხედვით. სიას თანდართული უნდა ჰქონდეს ახალშობილის დაბადების და მამის პირადობის მოწმობის ქსეროასლები (ბავშვის მამის რეგისტრაციის ადგილი აუცილებელია იყოს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი). თუ ბავშვის დედა არის მარტოხელა დედის სტატუსის მატარებელი, ასეთ შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნას დედის პირადობის მოწმობის ქსეროასლი (ასევე აუცილებელია დედის რეგისტრაციის ადგილი იყოს თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტი).

ა. ფულადი დახმარების გაცემა მოხდეს ბავშვის დაბადებიდან არაუმეტეს 6 თვის მანძილზე.

ბ. ერთჯერადი დახმარების მიღება მოხდება საფინანსო სამსახურის მიერ ბანკში ერთ-ერთი მშობლის მიერ გახნილ პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მამა არის თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული.

გ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

**9. პროგრამის ბიუჯეტი:**

ა) შემოსავლის წყარო

საანაგარიშო წელს: 6,7 ათ.ლარი თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ) პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება ბენეფიციარი	ღონისძიები-სათვის საჭირო რაოდენობა (ბავშვი)	დასახმარებელი თანხის რაოდენობა (ლარი)	საჭირო თანხები (ლარი)
1	ერთჯერადი დახმარება	მე-3 ბავშვზე	30	150	4500
2	ერთჯერადი დახმარება	მე-4 ბავშვზე	5	200	1000
3	ერთჯერადი დახმარება	მე-5 ბავშვზე	3	250	750

4	ერთჯერადი დახმარება	მე-6 ბავშვზე	1	300	300
5	სულ ხარჯი		39		6700

10. წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

11. პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა**

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.  
01 იანვარი 2015 წ.
2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 21,0 ათ.ლარი

საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 21,0 ათ.ლარი

**3. პროგრამის დაფინანსების წყაროები**

ა) თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი: 21,0 ათ. ლარი

**4. საკითხის მოკლე აღწერა:**

ქვეყნის წინსვლისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი შობადობის გაზრდის ხელშეწყობაა. სამწუხაროა, რომ დღეის მდგომარეობით თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში არცთუ ისე ბევრი მრავალშვილიანი ოჯახია, ამის მიზეზი კი ყოველდღიური ყოფით პრობლემებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა გაგრძელდეს 2005 წლის მაისიდან მოქმედი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ( სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია) ამასთან ოჯახების წახალისების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთ ოჯახში თითოეულ ბავშვზე გაიზარდოს ფინანსური დახმარება ყოველთვიურად გაიცეს 30 ლარის ოდენობით.

**5. პროგრამის მიზანი**

თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა, მათი ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ გასაუმჯობესებლად.

**6. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია**

პროგრამით გათვალისწინებულია მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია) ყოველთვიური დახმარება. ასეთ ოჯახებში სავარაუდოთ 140 ბავშვი იქნება.

**7. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

ა. განცხადებების შესწავლა;

ბ. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა. ყოველთვიურად ახალი ოჯახების ჩართვა პროგრამაში, სადაც მეოთხე ბავშვი დაიბადება. დახმარება შეუწყდება ბავშვს 18 წლის შესრულების შემდეგ.

მრავალშვილიანი ოჯახისთვის ფულადი დახმარების დასანიშნად საჭიროა დედის ან მამის განცხადება, თანდართული მშობლების პირადობის და ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლებთან ერთად. მშობლების განქორწინების შემთხვევაში თანხა გაიცემა



ბავშვების საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რომელსაც წერილობით დაადასტურებს გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში .

**გ.** ყოველთვიური ფულადი დახმარების დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვის მამა თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტშია დარეგისტრირებული, ხოლო თუ დედა მარტოხელაა, მაშინ დედა უნდა იყოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ მისამართზე დარეგისტრირებული. დახმარებების მიღება მოხდება საფინანსო სამსახურის მიერ ყოველთვიურად ბანკში ერთ-ერთი მშობლის მიერ გახნილ პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ,

**დ.** პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

**8.** პროგრამის ბიუჯეტი:

**ა)** შემოსავლის წყარო საანაგარიშო წელს:

91,0 ათ.ლარი თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**ბ)** პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები:

№	გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება	ერთეულის დასახელება (ბენეფიციარი)	დასახმარებელი თანხის ოდენობა (ლარი)	ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯები (ათ.ლარი)
1	ყოველთვიური ფულადი დახმარება	140	30	4200
	სულ 5 თვის ხარჯი			21000

საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები შევა წლის განმავლობაში.

პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**სამაჩაბლო - აფხაზეთში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა  
შვილების დახმარების პროგრამა**

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.

01 იანვარი 2015 წ.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 4,5 ათ.ლარი

საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 4,5 ათ.ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ა) ძირითადი: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4,5 ათ.ლარი.

4. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ოშში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა შვილებს ჭირდებათ თანაგრძნობის გამოხატვა თვითმმართველი თემი - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან და ნებისმიერი ადამიანისგან. ამიტომაც, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაგრძელდეს სამაჩაბლო აფხაზეთში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა შვილების დახმარების პროგრამა.

2014 წელს პროგრამაში ჩართული იქნება ოშში დაღუპილის 1 მცირეწლოვანი (18 წლამდე ასაკის) ბავშვი და დაინვალიდებულთა 7 ბავშვი.

ოშში დაღუპულის მცირეწლოვან შვილებზე ყოველთვიური ფულადი დახმარებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოეულზე 200 ლარი, ხოლო დაინვალიდებულთა შვილებისათვის თითოეულზე 100 ლარი.

აღნიშული პროგრამის შესრულება განახორციელოს საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილებამ.

5. პროგრამის მიზანი

თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სამაჩაბლო-აფხაზეთის ოშში დაღუპილთა და დაინვალიდებულთა შვილების ყოველთვიური დახმარება და მათი ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

6. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

ყოველთვიურად თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტიდან მიიღებს ფულად დახმარებას სამაჩაბლო-აფხაზეთის ოშში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა ოჯახების ბავშვები. პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს წარმოადგენილი უნდა ჰქონდეთ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლისას დაღუპილის ან დაინვალიდებულის დამადასტურებელი საბუთი, პროგრამაში მონაწილე ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლი, დახმარების მიმღები მშობლის (ან მეურვის) პირადობის ქსეროასლი.

7. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.

ა. ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემა, დახმარებების მიღება მოხდება საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ ბანკში მშობლის ან მეურვის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.

ბ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

8. პროგრამის ბიუჯეტი:

ა) შემოსავლის წყარო საანაგარიშო წელს: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხიდან 3.5 ათ. ლარი

ბ) წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია თვითმმართველი თემი - მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა,  
გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების  
უზრუნველყოფის პროგრამა**

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014წ.  
01 იანვარი 2015წ.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 3,5 ათ.ლარი

საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 3,5 ათ.ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ა. ძირითადი: დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხიდან 3.5 ათ.  
ლარი

4. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 9-ე მუხლის თანახმად, ხდება სარიტუალო თანხის გაცემა, რითაც სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოიხატება თანადგომა იმ პირთა ოჯახების მიმართ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს ქვეყანას.

არანაკლებ ყურადღებას საჭიროებენ ის მოქალაქეები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. ამიტომაც, რომ თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის მიერ უკვე რამოდენიმე წელია ხდება სარიტუალო თანხის გაცემა. ყურადსაღებად მიგვაჩნია ასევე სარიტუალო თანხის გამოყოფა უპატრონო მიცვალებულზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა პროგრამა ამუშავდეს მიმდინარე წლის ბოლომდე, რის საფუძველზეც სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე მოხდეს სარიტუალო თანხის გაღება თითოეულ ოჯახზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დასაკრძალად 200 ლარის ოდენობით

5. პროგრამის მიზანი:

თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გარდაცვლილ ომის მონაწილეების, სამაჩაბლო აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლების

და დევნილთა ოჯახებისთვის თანაგრძნობის გამოხატვა და დახმარება სარიტუალო თანხით, აგრეთვე უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის ფულადი დახმარების გაღება.

## **6. პროგრამების ამოცანები**

ა. განცხადებების და წერილების საფუძველზე გარდაცვლილის ოჯახის დახმარება, რისთვისაც საჭიროა ომის მონაწილის ოჯახის წევრმა წარმოადგინოს გარდაცვლილის გარდაცვალების და ომის მონაწილის მოწმობები ქსეროასლი, სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა, თუ რა სახის პენსიას იღებდა გარდაცვლილი და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი.

იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალებისას მისი ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს: გარდაცვლილის გარდაცვალების და დევნილის მოწმობა, განმცხადებლის პირადობის და დევნილის მოწმობის ქსეროასლი.

უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში გარდაცვლილის მეზობლების ერთობლივი განცხადება. გარდაცვლილის გარდაცვალების მოწმობა და ერთ-ერთი მეზობლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი. ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის დასკვნა რომ გარდაცვლილი უპატრონოა.

ბ. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა.

## **7. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია**

ა. ომის მონაწილე;

ბ. იძულებით ადგილნაცვალი პირი;

გ. უპატრონო მიცვალებული.

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

ა. პროგრამის ბენეფიციართა დადგენა;

ბ. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მეშვეობით;

გ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

## **9. პროგრამის ბიუჯეტი:**

გ) პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის დასაინფორმაციო დაფების საშუალებით.

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.  
01 იანვარი 2015 წ.
2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 2,9 ათ.ლარი  
საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 2,9 ათ.ლარი
3. პროგრამის დაფინანსების წყაროები
  - ა) ძირითადი: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2,9 ათ.ლარი.
4. პრობლემის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს: საერო და რელიგიური დღესასწაულებისთვის სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების ან საჩუქრების გადაცემას.

პროგრამას ახორციელებს გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილება.
5. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:
  - ა. მრავალშვილიანი დედები;
  - ბ. უდედმამო ბავშვები;
  - გ. 100 წელს გადაცილებული მოხუცები;
  - დ. 9 აპრილს დაზარალებული;
  - ე. ინვალიდი ბავშვები;
  - ვ. ომის მონაწილეები;
  - ზ. სამაჩაბლო-აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახები;
  - თ. მარტოხელა დედები;
  - ი. დევნილები;
6. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:
  - ა. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა ხდება სოციალური დახმარების სააგენტოდან და თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოძიებულ სიებზე დაყრდნობით, ან მუნიციპალიტეტში შემოსული განცხადებების გათვალისწინებით;
  - ბ. ფულადი დახმარების და საჩუქრების გაცემა;
  - გ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.
7. პროგრამის ბიუჯეტი:
  - ა) შემოსავლის წყარო საანგარიშო წელს 2,9 ათ.ლარი თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ) წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

გ) პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის დასაინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გორგობიანი

ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო  
მომსახურების თანადაფინანსების  
პ რ o გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014წ.  
01 იანვარი 2015წ.
2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 28073 ლარი

საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 28073 ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყაროები  
ა) ძირითადი: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი: 28073 ლარი

4. პრობლემის მოკლე აღწერა, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მიუხედავად ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა ჯერ კიდევ არიან ღარიბები და დაბალშემოსავლიანი ოჯახები, დევნილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებიც განიცდიან ეკონომიურ გაჭირვებას. ასეთ ოჯახებში ხშირად იქმნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის თებერვლიდან საქართველოს ყველა მოქალაქეს დააზღვევს სახელმწიფო, რის საფუძველზეც ჩაუტარდება სამედიცინო დახმარება, მაგრამ პოლისით მომსახურება არ ითვალისწინებს ზოგიერთი დაავადების ან გამოკვლევის დაფინანსებას. მათი მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქების მიზნით თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა გაჭირვებულ ოჯახებს გაეწიოთ დახმარება იმ შემთხვევაში თუ დაბალშემოსავლიან და ღარიბ ოჯახს შეექმნება მოულოდნელად რაიმე პრობლემა ჯანდაცვის სფეროში.

სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად პროგრამისათვის გამოყოფილი 28073 ლარი განაწილდეს ჯანმრთელობის დაცვისათვის იმ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე, რომლებიც პოლისის მფლობელთა ბაზაში არ არიან დარეგისტრირებული ან იმ შემთხვევაში თუ გარკვეულ დაავადებას ან გამოკვლევას სადაზღვევო კომპანიები ვერ აფინანსებენ.

5. პროგრამის მიზანი:

- ა. თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ღირებულების თანადაფინანსება სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების გაწევის კომისიის გადაწყვეტილებით.

6. პროგრამის ამოცანა:



განცხადებების და წერილების საფუძველზე ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სოციალური მდგომარეობის შესწავლა - შეფასება და ბენეფიციარებისათვის ფულადი დახმარების გაწევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა პროგრამის მუშაობისათვის შექმნილი სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების გაწევის კომისიის გადაწყვეტილებით მოახდინოს ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანების შერჩევა და ფინანსური დახმარების აღმოჩენა.

**7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:**

პროგრამით შეიძლება ისარგებლონ ეკონომიურად გაჭირვებული ყველა კატეგორიის ადამიანებმა.

**8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

ა) პროგრამის ბენეფიციართა დადგენა, რისთვისაც საჭიროა თითოეულმა განმცხადებელმა წარმოადგინოს:

ბ) პირადობის მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;

გ) ცნობა ფორმა IV-100/ა; (დედანი)

დ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ან პოლისის ქსერო ასლი, ბენეფიციარი ფლობს თუ არა სამედიცინო დახმარების პოლისს.

ვ) ინვალიდის ან სხვა რაიმე სტატუსის მქონე განმცხადებლებმა სტატუსის დამადასტურებელი საბუთი.

ზ) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ან გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლის დასკვნა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

თ) შესაბამისი ჯანდაცვიდის დაწესებულებიდან საგარანტიო წერილი (ასლი)

**9. თუ ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქე თხოულობს მედიკამენტების შესყიდვას, საჭიროა განმცხადებელმა წარმოადგინოს:**

ა) პირადობის მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;

ბ) ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი ან გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ჯანმრთელობის და სოციალური საკითხთა განყოფილების თანამშრომლის დასკვნა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ;

გ) ექიმისგან დაწერილი რეცეპტი (დედანი);

დ) ცნობა ფორმა IV-100/ა; (დედანი)

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ან პოლისის ქსერო ასლი, ბენეფიციარი ფლობს თუ არა სამედიცინო დახმარების პოლისს.

ვ) აფთიაქის ინვოისი(წამლების ჩამონათვალი განსაზღვრული ღირებულებით).

განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იხილავს გამგეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების გაწევის კომისია და იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ ბენეფიციარს რა რაოდენობის თანხით გაეწევა დახმარება.

სამედიცინო მომსახურების დახმარების თანხის ოდენობა არ აღემატებოდეს 1500 ლარს, ხოლო მედიკამენტების შეძენა მოხდება არაუმეტეს 500 ლარამდე ღირებულების თანხის.

კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის ღირებულების საგარანტიო წერილი გაიცემა პაციენტის სახელზე რომლის ვადაც განისაზღვროს გაცემიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღით. მკურნალობის დამთავრებისას საავადმყოფოდან გამგეობაში შემოსული წერილის (სადაც აღნიშნული იქნება შესრულებული სამუშაო და გამგეობის დავალიანება სამედიცინო დაწესებულების მიმართ), საფუძველზე მომზადებული ბრძანების თანახმად საფინანსო სამსახურის მიერ მოხდება სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა.

**10. პროგრამის ბიუჯეტი:**

- ა) შემოსავლის წყარო 28073 ლარი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
- ბ) პროგრამაში ცვლილებები შევა წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში.
- გ) პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების

პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 11 აგვისტო 2014 წ.  
01 იანვარი 2015 წ.
2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი : 5,5 ათ.ლარი

საანგარიშო წლის ბიუჯეტი: 5,5 ათ.ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყაროები
  - ა. ძირითადი: თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი: 5,5 ათ.ლარი.
4. საკითხის მოკლე აღწერა, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მიუხედავად ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა ჯერ კიდევ არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, დევნილები და სხვა. მათი მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქების მიზნით თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ეკონომიურად გაჭირვებულ ადამიანებზე გაიცეს ერთჯერადი ფულადი ან საშემე მერქანი ზემოთ აღნიშნული კატეგორიის თითოეულ მოქალაქეზე თანხის გაცემა მოხდეს არაუმეტეს 100 ლარის და საშემე მერქანის არაუმეტეს 2 კბ-ის.

5. პროგრამის მიზანი:
  - ა. თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიურად გაჭირვებული სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის ფულადი დახმარების დახმარების ან საშემე მერქნით დახმარების გაწევა.

6. პროგრამის ამოცანა:  
განცხადებების გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ან გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების თანამშრომლების მიერ ოჯახების გადამოწმებით, ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სოციალური მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარებისათვის ფულადი და სამერქნე შემოთ დახმარების გაწევა.

7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:  
პროგრამით შეიძლება ისარგებლოს ეკონომიურად გაჭირვებული ყველა კატეგორიის ადამიანმა.
8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

ა. პროგრამების ბენეფიციართა დადგენა, რისთვისაც საჭიროა თოთოეულმა განმცხადებელმა განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად, ინვალიდის ან სხვა რაიმე სტატუსის დამადასტურებელი საბუთი. კომისიაზე განსახილველად საჭიროა განცხადებას დაერთოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ან გამგეობის სოციალური საკითხთა განყოფილების თანამშრომლის დასკვნა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ბ. ფულადი დახმარებების ან სამეშე მერქნით გაცემა ხდება სოციალურად დაუცველი ფენებისათვის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით;

გ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა;

9. პროგრამის ბიუჯეტი:

ა. შემოსავლის წყარო 5,5 ათ.ლარი თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

პროგრამაში ცვლილებები შევა წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება ტელევიზიის, გაზეთის და საინფორმაციო დაფების საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი